

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში გზის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს

17 აგვისტო 2018

გუბერნატორის პირველმა მოადგილემ სიმონ გულედანმა სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად ქარელის მუნიციპალიტეტში მიმდინარე გზების სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა. ამჟამად, რეაბილიტაცია უტარდება სოფლების, რუისისა და კნოლევის გზებს. კერძოდ, სოფელ რუისში დაიგება 5 კილომეტრამდე გზა, აგრეთვე, მოენყობა სანიაღვრე სისტემაც. პროექტზე 2 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი და დასრულება ნოემბერში იგეგმება. კნოლევში მისასვლელი გზის სამშენებლო სამუშაოები კი თითქმის დასრულებულია, აგვისტოს ბოლოს სოფლის მოსახლეობა ახალი გზით სარგებლობას შეძლებს. პროექტის ფარგლებში 670 გრძივი მეტრის გზა დაიგო, მოენყო ასფალტის საფარი და სანიაღვრე სისტემა. პროექტზე 303 943 ლარი დაიხარჯა.